

ოქმი N2
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული
საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის.

2018 წელი, 15 აპრილი
 11.00-13.00 საათი
 ქ.ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საზოგადოებრივი დარბაზის წევრები: ლ. ხინთიბიძე, ლ.ტრაპაიძე, გრ.მახარაძე, ი.პაპავა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-ი.სირაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დარბაზის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის შესახებ
მომხსენებელი: დავით დარჩია
თანამომხსენებელი: გ.ღურჯუმელიძე
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.
მომხსენებელი: დ.დარჩია
თანამომხსენებელი: პ.ჭყონია

პირველი საკითხის განხილვისას საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა თ. ტრაპაიძემ განაცხადა, რომ მხარს უჭერს მხარს საკრებულოს დადგენილების პროექტს, მაგრამ მთავარია როგორ მოხდება ამ დადგენილების ადმინისტრირება;

ამიტომ, აუცილებელია დადგენილების ამოქმედებამდე, 1-ივნისამდე დაიწყოს მუშაობა მერიის ზედამხედველობის განყოფილებამ, რათა გარე ვაჭრობით დასაქმებული ადამიანები წინასწარ იყვნენ მომზადებულები და ინფორმირებულები. მერიამ ასევე წინასწარ უნდა შეარჩიოს ალტერნატიული ადგილები, სადაც განხორციელდება ვაჭრობა და მსურველებზე გასცეს ფართები იჯარით, ამჟამად გამოყენებული ტროტუარების ნაცვლად იქ განხორციელდეს კომერციული საქმიანობა. გ.მახარაძის აზრით, საჭიროა პროექტთან ერთად წარმოდგენილი იყოს სტატისტიკური ინფორმაცია. კერძოდ, რამდენი გარე მოვაჭრეა, რამდენი ადგილის გამოყოფის შესაძლებლობა არის და ა.შ. ამის გათვალისწინებით, პრაქტიკული ღონისძიებების ჩატარება უფრო ნათელი გახდება. ასევე, დასაზუსტებელია პროექტში მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრ ლ.ხინთიბიძის აზრით, კარგი იქნება თუ მერიის შესაბამისი სამსახურები წინასწარ ჩაატარებენ საუბრებს გარე ვაჭრობით დაკავებულ ადამიანებთან და გაიგებენ მათ მოსაზრებებს და მოთხოვნებს მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის მოწესრიგების პრობლემის გადასაწყვეტად. მისი აზრით, მოსაწესრიგებელია ქალაქის ტერიტორიაზე ტაქსების დგომის ადგილებიც.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებებს და მის შესახებ აცნობებენ მუნიციპალიტეტის მერიას.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრებს „ზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ მოახსენა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსმა -პ.ჭყონიამ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ გაიმართა მსჯელობა.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა თ.ტრაპაიძემ შენიშნა, რომ არაა გამართლებული როცა ბიუჯეტი ერთი იმდენით იზრდება წინასწარ დაგეგმილზე, მაგრამ დაამატა, რომ ეს არა მერიის შესაბამისი სამსახურის, არამედ არსებული კანონმდებლობის ბრალია.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა ლ.ხინთიბიძემ განაცხადა, რომ როცა ბევრია გადაჭარბება ერთი მხრივ კარგია-შემოსავლები იზრდება, მაგრამ მეორე მხრივ არასწორ დაგეგმვაზე მიუთითებს. განუმარტეს, რომ შემოსავლების ასეთი მკვეთრი ზრდა გამოიწვია ქონების რეგისტრაციის ბუმმა. ლ.ხინთიბიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში მერიის შესაბამის სამსახურს უნდა ჰქონდეს ქონების გადასახადის გადამხდელთა საბაზისო მონაცემები, განუმარტეს, რომ საშემოსავლო სამსახურებს ასეთი ვალდებულება არ აქვთ და, შესაძლებელია, კომერციული საიდუმლოების გაცემის აკრძალვაც ზღუდავდეს ასეთი ინფორმაციის გაცემას.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრმა ლ.ხინთიბიძემ დასვა შეკითხვა, საჯარო სკოლები დელეგირებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად ვის მიერ იქნა შერჩეული? საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული წინადადებებით, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების სამსახურებმა უნდა მიიღონ შერჩევაში მონაწილეობა, რადგან ამ მიზნით მოხდა უფლებამოსილების დელეგირება. საზოგადოებრივი დარბაზის წევრ ლ.ხინთიბიძის აზრით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნდა განსაზღვრავდეს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში

საგანმანათლებლო პოლიტიკას, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობა აწესრიგებდეს ინფრასტრუქტურას.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ დასვა შეკითხვა-რატომ არ შესრულდა მშენებლობის მოსაკრებელის ამოღებისა და, ასევე, არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლების მიღების გეგმა? მიეცა შესაბამისი განმარტება.

მსჯელობა იყო მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ -ებში დასაქმებულებზე, ლ.ხინთიბიძის აზრით, ისინი არ უნდა ასრულებდნენ დასაქმების ბიუროების როლს, თითოეულ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს საკუთარი სამუშაოს აღწერილობა და ფუნქცია. მოსაწესრიგებელია მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხიც. მხარჯავი დაწესებულებები მერიას უნდა უდგენდნენ თავიანთი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს.

საბოლოოდ საზოგადოებრივი დარბზის წევრები შეთანხმდნენ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორივე სამართლებრივი აქტის პროექტი შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხები გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

